# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№27 (9.741)

16 – 23 ივლისი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა




გვ.3

**ყურძნის სუბსიდირება კვლავ გაგრძელდება**

## ახალი კომპიუტერული სასწავლო ცენტრი ზემო მაჩხაანში



გვ. 3




გვ. 5

**ლაერტ ზუბადალაშვილი: ასპარეზი ახალგაზრდებს დაუთმე**



**განათლებული თაობა ჩვენი ქვეყნის წინსვლის გარანტიაა...**

გვ. 4

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ ვაკანსიები გამოაცხადა**

გვ.2

**ცირკი „შაპიტო ანტრე“ დედოფლისწყაროში**

გვ.8



### ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 8 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

# ევროკავშირისა და საქართველოს მომავალი ბათუმში განიხილება

14—15 ივლისს ბათუმი მასპინძლობს რიგით მე-13 საერთაშორისო (ყოველწლიურ) კონფერენციას, სახელწოდებით „საქართველოს ევროპული გზა - სტაბილურობა, განვითარება და მრავალფეროვნება“, რომელშიც მონაწილეობს 300-ზე მეტი სტუმარი ევროკავშირის წევრი და პარტნიორი ქვეყნებიდან. მათ შორის არიან ოფიციალური პირები, კერძო სექტორისა თუ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. ბათუმს სტუმრობს ევროკომისარი ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების შესახებ მოლაპარაკებების საკითხებში იოჰანეს ჰანი. საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლის გარდა, მან ბათუმში არაერთი შეხვედრა გამართა, მათ შორის — საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს პირებთან. უმთავრეს განსახილველ თემას წარმოადგენდა საქართველოს წინსვლა ევროკავშირთან დაახლოების გზაზე და სავიზო ლიბერალიზაციის მოლოდინი.

თანამედროვე უსაფრთხოების არქიტექტურის გამოწვევები, რეგიონალური სტაბილურობის ფაქტორები, ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობები, ევროკავშირის როლი საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის მიზნები და შესაძლებლობები — ამ და სხვა თემებზე მსჯელობენ წარმომადგენლობით საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელსაც ბათუმში სასტუმრო „ჰილტონი“ მასპინძლობს. ყოველწლიური კონფერენცია ტარდება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით.

როდესაც კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართავდა, პრემიერ—მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპულ ოჯახში საქართველოს გაწევრიანება წარმოადგენს საქართველოს სერიოზულ განზრახვასა და მისიას, რომლისთვისაც ყველაფერი კეთდება. თუმცა ეს სასარგებლო იქნება არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი ევროპისთვის. პრემიერი ლაპარაკობს მჭიდრო პარტნიორობის აუცილებლობაზე და აღნიშნავს, რომ საქართველოს გამოწვევები, რაც, მაგალითად, აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის ანექსიური პოლიტიკის გამოვლინებას წარმოადგენს, სცილდება საქართველოს საზღვრებს და ეს მთელ რეგიონს, მთელ ევროპას უქმნის საფრთხეს.

კონფერენციაზე გამომსვლელებმა - და მათ შორის გიორგი კვირიკაშვილმაც - ბევრი ილაპარაკეს სარგებელზე, რისი მოტანაც შეუძლია ასოცირების შეთანხმებასა და მის შემადგენელ სეგმენტს, ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობას. ეკონომიკური წინსვლა და უსაფრთხოება ერთმანეთთან მტკიცე კავშირში განიხილება.

„ჩვენთვის ევროპული ინტეგრაცია და ის რეფორმები, რომლებიც გამომდინარეობენ ასოცირების შეთანხმებიდან, არის ძალიან მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, უმაღლესი პრიორიტეტის, და ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ, წარმატებულად მივყვებით ამ გზას და ვახორციელებთ მნიშვნელოვან რეფორმებს. ასევე მნიშვნელოვანია და კომისარმა ჰანმაც გაუსვა ხაზი თავის გამოსვლაში, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეკონომიკური პარტნიორობა ევროკავშირის ქვეყნებთან, ვინაიდან ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური პარტნიორობის განვითარება ქმნის უფრო მეტ სტაბილურობას რეგიონში და ეს არის ასახული ევროპის ახალ სამეზობლო პოლიტიკაში“ — ეს განცხადება გიორგი კვირიკაშვილმა 14 ივლისს, იოჰანეს ჰანთან შეხვედრის შემდეგ, გააკეთა.

ევროკომისარმა ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების შესახებ მოლაპარაკებების საკითხებში იოჰანეს ჰანმა თავადაც ბევრი ილაპარაკა ეკონომიკურ განვითარებაზე, როგორც რეგიონალური სტაბილურობის აუცილებელ შემადგენელზე, და რეგიონის სტაბილურობით ევროკავშირის საგანგებო დაინტერესებაზე. სწორედ ამ კონტექსტში გამახვილდა ყურადღება საქართველოს საგანგებო ეკონომიკურ დახმარებაზეც:

„საქართველო ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორია — არა მხოლოდ როგორც ქვეყანა, არამედ როგორც რეგიონალური ჰაბი, რათა უზრუნველვყოთ და დავიცვათ აუცილებელი სტაბილურობა... ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ხელი შევუწყოთ ამ პროცესს, მათ შორის - ფინანსურადაც... საქართველოს მოსახლეობის 50 % პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩართულია აგრარულ სექტორში. მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ გამოვუყოფთ საქართველოს 180 მილიონ ევროს აგრარულ სფეროში ბიზნესის სტიმულირებისთვის. აქ ჩვენ ვხედავთ დიდ პოტენციალს — კერძოდ, ევროპის მიმართულებით“.

საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოების მნიშვნელობასა და პერსპექტივებზე ევროკომისარმა ჰანმა ბევრი ილაპარაკა 14 ივლისს კონფერენციის დარბაზის მიღმა თუ უშუალოდ დარბაზშიც. როდესაც კონფერენციის მონაწილეებს მიმართავდა სიტყვით, საქართველოს სავიზო ლიბერალიზაციის ვადებთან დაკავშირებით მან ოქტომბერი ახსენა, მაგრამ რადგანაც გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ფრანკ—ვალტერ შტაინმაიერის თბილისში გაკეთებული განცხადებების შემდეგ — უვიზო მიმოსვლის პერსპექტივები სექტემბრის მეორე ნახევარს დაუკავშირდა, ევროკომისარს საკითხის განმარტება მედიის წარმომადგენლებთანაც მოუწია:

„მეტად დარწმუნებული ვარ, რომ — ყველაზე გვიან — ოქტომბრის დასაწყისშიაბსოლუტურად შესაძლებელია სავიზო ლიბერალიზაცია. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს უფრო ადრეც გახდეს შესაძლებელი... ეს ახლა ევროპარლამენტის ვალდებულებაა, რადგანაც ყველას კარგად ესმის და ყველამ კარგად იცის, რომ საქართველომ ბოლომდე შეასრულა ყველა აუცილებელი მოთხოვნა და ახლა ევროკავშირმაც უნდა შეასრულოს თავისი დანაპირები. თუკი დამატებითი ბიძგი გახდება საჭირო, მე ყველაფერს გავაკეთებ ამისთვის“.

სავიზო ლიბერალიზაციის თემაზე განმარტებების გაკეთება საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებსაც მოუხდათ. ითქვა, რომ კონკრეტული ვადების დასახელება არამართებულია. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის, საკითხი დადებითად არის გადაწყვეტილი და მას მხოლოდ საბოლოო გაფორმების პროცედურები ესაჭიროება.

# დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ 2016 წლის 13 ივლისს გამოაცხადა კონკურსი გამგეობის ექვს ვაკანტურ თანამდებობაზე:

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ სამთაწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულში
2. გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტი ქ. დედოფლისწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულში
3. ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურეობის და საერთაშორისო ფონდებთან

და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ზედამხედველობის სამსახურთან კოორდინაციის საკითხებში

4. ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში
5. ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების საკითხთა დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ეკონომიკურ საკითხებში
6. გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

განცხადებების რეგისტრაცია დაიწყო 14 ივლისს, განცხადებების რეგისტრაციის ბოლო ვადაა 23 ივლისის ჩათვლით.

განცხადების რეგისტრაცია წარმოებს ელექტრონულად შემდეგ მისამართზე: www.hr.gov.ge

# გიორგი მარგველაშვილმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ ლევან ბოძაშვილის კანდიდატურა წარადგინა

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ ლევან ბოძაშვილის კანდიდატურა წარადგინა. პრეზიდენტმა საგანგებო ბრიფინგი ბათუმის სასტუმრო „რედისონში“ გამართა.

პრეზიდენტის განცხადებით, ლევან ბოძაშვილი უშიშროების საბჭოში მუშაობდა და მას მიუკერძოებელი და უმწიკვლო წარსული აქვს.

პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ მის მიერ წარდგენილ კანდიდატს პარლამენტში ამჯერად მხარს დაუჭერენ.

„მას გააჩნია მართლაც მიუკერძოებელი, უმწიკვლო წარსული თავის საქმიანობაში. მე იმედი მაქვს, რომ საქართველოს პარლამენტი და ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც პარლამენტში არიან, გულისყურით მოეკიდებიან როგორც იმას, რომ საბოლოოდ, მესამე მოსმენით უნდა იქნას მიღებული კანონი სასამართლოს სისტემის შესახებ, ასევე, იმას, რომ მე უკვე წარვადგინე უზენაეს სასამართლოს სამი მოსამართლის კანდიდატურა და სასამართლოს სისტემას სჭირდება ეს მოსამართლეები“, - განაცხადა მარგველაშვილმა.

# ჩვენ გამოვყოფთ 180 მილიონ აშშ დოლარს, სასოფლო-სამეურნეო სფეროში ბიზნესპროექტების ხელშესაწყობად“

მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ გამოვყოფთ 180 მილიონ აშშ დოლარს, სასოფლო-სამეურნეო სფეროში ბიზნესპროექტების ხელშესაწყობად, — ამის შესახებ ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა ბათუმში განაცხადა.

„ამ საღამოს მექნება შესაძლებლობა, გავეცნო სასოფლო- სამეურნეო პროექტებს. ქართველი ხალხის 50%-მდე პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით დასაქმებულია სასოფლო-სამეურნეო სფეროში. მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ გამოვყობთ 180 მილიონ აშშ დოლარს, სასოფლო-სამეურნეო სფეროში ბიზნესპროექტების ხელშესაწყობად“, — განაცხადა იოჰანეს ჰანმა.

# ძლიერმა წვიმამ რამდენიმე ორგანიზაცია დააზარალა



9 ძმის ქუჩაზე მდებარე დედოფლისწყაროს №1 საბავშვო ბაღის შენობა, სადაც არაერთი ორგანიზაცია ფუნქციონირებს, წვიმის შედეგად დაზიანდა. რამდენიმე დღის წინ, სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას, შენობას სახურავი მოხადეს, რის შემდეგაც ღამით მოსული წვიმის წყალი ოთახებში ჩავიდა. დაზიანდა საგანმანათლებლო რესურსცენტრის ოფისი, სახელოსნო „ფესვების“ საბავშვო ბაღისა და ქორეოგრაფიული ანსამბლის დარბაზი.

დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გაზეთ „შირაქთან“ ამბობს, რომ მომხდარის ირგვლივ საქმის კურსშია და მუნიციპალიტეტში უკვე შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც ზარალი აღწერა. გამგებელი ხაზს უსვამს, რომ მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით ზარალის აღმოფხვრის ვალდებულება კომპანიას ეკისრება. გამგეობამ სამუშაოთა მწარმოებელ კომპანიას შპს „სტანდარტ-ა“-ს უკვე მიმართა. გამგეობამ მიიღო კომპანიის პასუხი, სადაც ნათქვამია, რომ ზარალის აღმოფხვრას საკუთარ თავზე აიღებს.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი ამბობს, რომ თითქმის ყველა სამუშაო ოთახი დაზიანდა, თუმცა, საბედნიეროდ, კომპიუტერული ტექნიკა გადარჩა. ზურიკაშვილმა მომხდარის შესახებ საქმის კურსში ჩააყენა განათლების სამინისტრო.

„გამგეობის კომისია მოვიდა, ჩატარდა აღწერა, შედგა ოქმი, რომელსაც ხელი ყველა მხარემ მოაწერა. ორგანიზაციის ხელმძღვანელი შალვა ალუღიშვილი მზაობას აცხადებს ხვალ ან ზეგ უკვე დაიწყოს ზარალის ანაზღაურება. შეგვიწყდა ინტერნეტის მიწოდებაც და იმის გამო, რომ სამუშაო გარემო არ გვაქვს, დროებით პირველი სკოლის შენობაში გადავინაცვლეთ და იქ ვმუშაობთ,“ - აღნიშნავს ეთერ ზურიკაშვილი.

ნინო ბახუტაშვილი (სახელოსნო „ფესვების“ ხელმძღვანელი): „ყველაზე მეტად ჩვენი სახელოსნო დაზარალდა. წყალი ჩვენს მხარეზე დაგუბდა და ყველა მიმართულებით გაჟონა. დაგვიზიანდა ავეჯი, კედლები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაზიანებულია ხელოვნების ნიმუშები, რომელთა ფასი დიდია. დაზიანებულია ხელნაკეთი ჩანთები და თოჯინები, რომელსაც თოჯინების თეატრის პროექტისთვის ვამზადებდით და უკვე სამი ზღაპრის გმირები გვქონდა დამზადებული. სერიოზულად დაგვიზიანდა სამუშაო მასალაც. სულ მალე ბათუმში, პიაცას მოედანზე იმართება კულტურის სამინისტროს გამოფენა, სადაც მიწვეული ვართ და ვემზადებოდით, თუმცა, მას შემდეგ, რაც წყალმა გაგვინადგურა ნამუშევრები, ალბათ ჩვენი გეგმები შეიცვლება. ყველა ის ნამუშევარი გაგვიფუჭდა, რომლებიც ამ გამოფენისთვის მზადდებოდა. ძალიან შეგვაფერხა ამ ფაქტმა“.

ილია მარტყოფლიშვილი

# კახეთის მაგისტრალური გაზსადენის თელავი-ახმეტის მონაკვეთს რაპიდ ინჯინიირინგ კონსტრაქშენი ააშენებს

კახეთის მაგისტრალური გაზსადენი “თელავი-ახმეტის’’ 300მმ დიამეტრისა და 27კმ სიგრძის მონაკვეთის მშენებლობა-რეაბილიტაციას ქართული კომპანია შპს „რაპიდ ინჯინიირინგ & კონსტრაქშენი“ უზრუნველყოფს.

როგორც ”ინტერპრესნიუსს” “საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან” აცნობეს, აღნიშნულმა კომპანიამ სს “საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის” მიერ 2016 წლის 11 მაისს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა. კონტრაქტორ კომპანიასთან ხელშეკრულება უკვე გაფორმდა, რომლის თანახმად კომპანია 2017 წლის თებერვლამდე უზრუნველყოფს გაზსადენის მშენებლობის დასრულებას. სამშენებლო-სარებილიტაციო მონაკვეთის ღირებულება 2 120 000 ლარია დღგ-ს გარეშე.

„თელავი-ახმეტის“ 27კმ-იანი მონაკვეთის 300მმ დიამეტრის ახალი მილსადენის მშენებლობა მაგისტრალური გაზსადენის კახეთის განშტოების რეაბილიტაციის მეორე ეტაპის სამუშაოთა ფარგლებშია დაგეგმილი. პროექტის დასრულების შემდეგ, გაზსადენის აღნიშნულ მონაკვეთზე 1976 წელს აშენებული 200მმ დიამეტრის ამორტიზებული მილები სრულად შეიცვლება”,- ნათქვამია ინფორმაციაში.

# კომპიუტერული სასწავლო ცენტრი ზემო მაჩხაანში

***დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანში საზეიმოდ გაიხსნა ახალი კომპიუტერული სასწავლო ცენტრი, რომელიც სოფლის კულტურის სახლის შენობაში იმუშავებს. კომპიუტერული ცენტრი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით დაარსდა და უახლოესი კომპიუტერული ტექნიკით აღიჭურვა, რაც მაჩხაანის მოსახლეობას საშუალებას მისაცემს, კომფორტულ გარემოში, უფასოდ ისარგებლოს კომპიუტერული მომსახურებით და შეისწავლოს პროგრამები.***



ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის ცენტრის ამოქმედება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ ფონზე, რომ სოფელში საკაბელო ინტერნეტი ამ დრომდე არ არსებობს.

ცენტრის გახსნის პროცესს ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი, ასევე სოფელ ზემო მაჩხაანის ადმინისტრაციულ ერთეულში დედოფლისწყაროს გამგებლის წარმომადგენელი გიორგი იაკობიშვილი და ადგილობრივი მოსახლეობა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა მაჩხაანელებს ეს დღე მიულოცეს და აღნიშნეს, რომ ინტერნეტთან წვდომა ადგილობრივ ახალგაზრდობას საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში დაეხმარება, ასაკოვან მოქალაქეებს კი სხვადასხვა პროგრამების ათვისების შესაძლებლობას მისცემს. ასევე, მაჩხაანელები სასურველი ინფორმაციის მარტივად და სწრაფად მიღებას შეძლებენ.



„სოფლისთვის ერთ-ერთი კარგი საქმე გაკეთდა და ამისთვის დიდ მადლობას ვუხდი ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ მნიშვნელოვანი ობიექტის გახსნაში. ბევრი ადგილობრივი ჩაერთო, მშენებლებსაც ეხმარებოდნენ და რაც შეეძლოთ წვლილი შეჰქონდათ. კორიდორის შეღებვა ადგილობრივებმა საკუთარ თავზე აიღეს, ეს კი ბევრზე მეტყველებს. თანამედროვე ახალი ტექნიკით აღიჭურვა, ვეცადეთ, რომ საკმაოდ სწრაფი და ოპტიკურ-ბოჭკოვანი, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი შემოგვეყვანა. სოფლის პროგრამის და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა, ადგილობრივი მოსახლეობის სურვილი იყო. მჯერა, რომ ეს ცენტრი სოფელს ძალიან გამოაცოცხლებს და ბევრად უფრო გააქტიურდება მოსახლეობა. საუკეთესო შეხვედრის ადგილი ექნებათ და პარალელურად განათლებას შეიძენენ, ინფორმაციას მიიღებენ," – განაცხადა დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

დალი გონაშვილი (ცენტრის პედაგოგი): „მსურველი საკმაოდ ბევრია, იმდენად დიდი მოთხოვნაა, ალბათ, მომავალში გრაფიკის შემუშავება მოგვიწევს, რომ ჯგუფები დაკომპლექტდეს. უფროსი ასაკის მსურველებიც ძალიან ბევრია, მათ უფრო საქმიანი პროგრამების დაუფლება სურთ და წარმოუდგენლად ბევრია ასეთი მსურველი. დღევანდელ რეალობაში ინტერნეტის და კომპიუტერის გარეშე ბევრი რამ წარმოუდგენელი გახდა და ჩვენი სოფელიც თანამედროვეობას ფეხს აუწყობს. მოსწავლე-ახალგაზრობისთვისაც ძალიან საჭირო იქნება ეს ცენტრი, რადგან სწავლის პროცესში, თუ ზოგადად აბიტურიენტობისას მათთვის საინტერესო ყველა ინფორმაციის მიღებას შეუფერხებლად შეძლებენ. ეს ყველაფერი სოფლიდან გაუსვლელად და, რაც მთავარია, უსასყიდლოდ რომ იქნება, რა თქმა უნდა მისასალმებელია. პარალელურად სკოლაშიც ვასწავლი და გამოცდილებაც მაქვს".

ილია მარტყოფლიშვილი

# ყურძნის სუბსიდირება კვლავ გაგრძელდება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, რთველი 2016-ის ფარგლებში ყურძნის სუბსიდირება კვლავ განხორციელდება. სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ დანელიას განცხადებით, სახელმწიფოს მიერ სუბსიდია 1 კგ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე 45 თეთრით განისაზღვრა, 1 კგ საფერავზე - 20 თეთრით, 1 კგ ალექსანდროულსა და მუჯურეთულზე კი 2 ლარით. მინისტრის ინფორმაციით, 2016 წელს ყურძნის საპროგნოზო მოსავლის რაოდენობა 180 ათას ტონას შეადგენს და ყურძენს 100-ზე მეტი ღვინის საწარმო ჩაიბარებს. გასული წლის მსგავსად, სუბსიდია პირდაპირ მევენახეებზე გაიცემა.

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია ყურძნის სუბსიდირების აუცილებლობას ღვინის ექსპორტის ზრდის პარალელურად, საერთაშორისო ბაზარზე ღვინის სარეალიზაციო ფასის შემცირებით ხსნის.

სტატისტიკური მონაცემებით, 2016 წელს 1 ბოთლი ღვინის საშუალო საექსპორტო ფასი, 2014 წლის ფასთან შედარებით 0,78 დოლარით, ანუ 25%-ით ნაკლებია. შემცირდა 1 ბოთლი ბრენდის საშუალო საექსპორტო ფასიც. კლებამ ამ შემთხვევაში ერთ ბოთლზე 0,87 დოლარი, ანუ 27% შეადგინა. 2012 წელს 1 ბოთლი (0,75 ლ) ღვინის საშუალო სარეალიზაციო ფასი იყო 3.07 აშშ დოლარი, 2013 წელს - 3.03, 2014 წელს - 3.13, 2015 წელს - 2,72 და მიმდინარე წლის 6 თვის მონაცემებით - 2.35 აშშ დოლარი.

ანალოგიური კლების ტენდენცია ფიქსირდება საბრენდე სპირტისა და ბრენდის ფასებზეც. საბრენდე სპირტის ფასები წლების მიხედვით ასეთია: 2012 წელი — 5.91; 2013 წელი — 3.88; 2014 წელი — 3.18; 2015 წელი - 2.98 და 2016 წლის 6 თვე - 2.71 აშშ დოლარი; ბრენდის ფასი კი 2012 წელს იყო — 3.22; 2013 წელს — 3.02; 2014 წელს — 3.17; 2015 წელს -2.56 და 2016 წლის 6 თვე - 2.29 აშშ დოლარი.

სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით, გრძელვადიან პერსპექტივაში მევენახეობა-მეღვინეობის დარგმა ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს, მას სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური დახმარება სუბსიდიის სახით აღარ უნდა დასჭირდეს.

„როგორც პრემიერ — მინისტრმა განაცხადა, ჩვენი თვითმიზანი არის საერთოდ გამოვიდეთ, სუბსიდიის მიდგომებიდან, როდესაც დარგია ამის შესაძლებლობას მოგვცემს. ფაქტია, რომ დღეს დარგს ხელშეწყობა კვლავ სჭირდება. მნიშვნელოვანია როგორც მევენახეების, ასევე მწარმოებელთა ინტერესების გათვალისწინება", - განაცხადა ოთარ დანელიამ.

2015 წელს, ღვინის საწარმოები ერთ კილოგრამ რქაწითელში 25 თეთრს იხდიდნენ, რასაც სახელმწიფო სუბსიდიის სახით 35 თეთრი დაემატა და ჯამში 60 თეთრი შეადგინა. საფერავს ღვინის კომპანიები 60 თეთრად იბარებდნენ და სუბსიდიის სახით 15 თეთრი ემატებოდა, ჯამში ერთი კილოგრამი საფერავის ფასი 75 თეთრი იყო. ზოგიერთი კერძო კომპანია რქაწითელში 70 თეთრსაც იხდიდა სუბსიდიის ჩათვლით, საფერავში კი 85 თეთრს.



ყურძნის ფასის 1 ლარამდე გაზრდის მოთხოვნით მევენახეებმა გასულ წელს არაერთი საპროტესტო აქცია გამართეს და საავტომობილო გზები გადაკეტეს. მევენახეების საპასუხოდ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მაშინ გაავრცელა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მრავალწლოვანი კულტურების კვლევის დეპარტამენტის უფროსის ზვიად ბობოქაშვილის განმარტება, რომ საშუალოდ, 1 კილოგრამი ყურძნის მოყვანა 29 თეთრი ჯდება, რასაც მევენახეები არ დაეთანხმნენ. ბობოქაშვილის თქმით, სოფლის მეურნეობის წარმოებაში ორმოცდაათ პროცენტიანი მოგების მარჟა სავსებით მისაღები უნდა იყოს.

ღვინის კომპანიების ხელმძღვანელების განცხადებით, წინასწარი პროგნოზით, რქაწითელსა და საფერავში წელს იგივე თანხას გადაიხდიან, რაც გასულ წელს.

„ყურძნის ღირებულება წელს შესაძლოა უმნიშვნელოდ, 5 ან 10 თეთრით გაიზარდოს. ესეც სუბსიდიის გაზრდის ხარჯზე", — უთხრა კახეთის საინფორმაციო ცენტრს „თელავის ღვინის მარნის" დირექტორმა თენგიზ ჯავახიშვილმა.

სუბსიდიის ჩათვლით რქაწითელში 70 თეთრის, ხოლო საფერავში 80—85 თეთრის გადახდას ვარაუდობს ღვინის კომპანია „კახურის" დირექტორი ზურაბ გოლეთიანიც.

ღვინის ხუთზე მეტი კომპანიის ხელმძღვანელმა კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში აღნიშნა, რომ მეღვინეებს შორის შეხვედრა ჯერ არ შემდგარა და რთველთან დაკავშირებულ საკითხებზე არ მოულაპარაკიათ.

რთველი 2016—ის ფარგლებში ყურძნის სუბსიდირებისა და სხვა ღონისძიებებისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფარგლებში 25 მილიონი ლარია გამოყოფილი. „საერთო ჯამში, ვფიქრობთ, რომ 35-დან 40 მილიონ ლარამდე დასჭირდება აღნიშნულ ღონისძიებას, დაახლოებით იგივე რაც შარშან", - აღნიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

# განათლებული თაობა ჩვენი ქვეყნის წინსვლის გარანტიაა...



*მომავალი წლიდან საჯარო სკოლებში ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა ამოქმედდება. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ალექსანდრე ჯეჯელავას განმარტებით, გეგმის ძირითადი პრინციპი მოსწავლესა და სასწავლო შედეგებზე ორიენტირებულობაა. მისი დანერგვა დაწყებითი საფეხურით პირველ-მეექვსე კლასებში იგეგმება და 2017-2023 წლებით განისაზღვრება.*

*-„ეროვნული სასწავლო გეგმა ჩვენი ზოგადი განათლების ხერხემალია, ჩვენი ქვეყანა იცვლება, იცვლება განათლების სისტემა, იცვლებიან ადამიანები, ტექნოლოგიები, იცვლება ყველაფერი და, შესაბამისად, ჩვენ არ შეგვიძლია, შარშანდელი მეთოდებით ვასწავლოთ დღევანდელ ბავშვებს, რომლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ ინტერნეტის სამყაროში“-აცხადებს ახალი მინისტრი და პედაგოგები, მოსწავლეები,მშობლები მოლოდინის რეჟიმში ვართ. ახალ რელსებზე გადასვლამდე კი რედაქციამ გაითვალისწინა საზოგადოების მხრიდან გამოჩენილი ინტერესი ჩვენი მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე პროცესებისა სასწავლო წლის დასრულებასთან დაკავშირებით და დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს, ქ-ნ* ეთერ დავითაშვილს *მივმართეთ შემდეგი კითხვებით:*

**- როგორ გამოიყურება ზოგადად წლიური შედეგები, არის თუ არა თანხვედრაში სკოლების წლიური შეფასებები საატესტატო გამოცდების შედეგებთან, მკვეთრად განსხვავებული შედეგების შემთხვევაში ვრცელდება თუ არა რაიმე სახის დისციპლინალური საყვედური კონკრეტული პედაგოგების მიმართ, რა მექანიზმი მუშაობს სკოლებში რეპეტიტორიუმის თავიდან ასაცილებლად და მის გარეშე იძლევა თუ არა საბაზისო სწავლება საკმარის ცოდნას უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად, რა სამომავლო გეგმები არსებობს პედაგოგთა მოტივაციის ასამაღლებლად, რომელი პროგრამები მოქმედებს დღეს სკოლაში სოციალურად დაუცველ ბავშვებზე, ჰქონდა თუ არა ადგილი ძალადობის(ბულინგის) ფაქტებს მიმდინარე სასწავლო წელს და ზოგადად, რა მექანიზმი მუშაობს სკოლებში მის წინააღმდეგ?**

-დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში დამთავრდა კიდევ ერთი სასწავლო 2015-2016 წელი. მეთორმეტე კლასი სულ 258-მა მოსწავლემ დაამთავრა. ოთხი საატესტატო გამოცდა ბევრმა წარმატებით ჩააბარა, არაინ ჩაჭრილებიც, ძირითადად, მათემატიკასა და უცხო ენებში(ინგლისური, რუსული). რაიონის საჯარო სკოლებში გვყავს ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებიც, სულ 30 მოსწავლე, მათ შორის 19-ოქროსმედალოსანია, 11-ვერცხლის. საატესტატო გამოცდები ჩააბარეს აგრეთვე საჯარო სკოლების მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებმაც ოთხ საგანში:გაოგრაფიაში, ქიმიაში, ბიოლოგიასა და ფიზიკაში. ბარიერი ვერ გადალახა სულ რამოდენიმე მოსწავლემ ფიზიკასა და ქიმიაში, ძირითადად იყო მაღალი და უმაღლესი შეფასებები.

სასწავლო წლის განმავლობაში ნაყოფიერად იმუშავეს სკოლებში დირექციამ, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა, მუდმივად იგრძნობოდა მშობელთა აქტიურობა და მათი განსაკუთრებული ყურადღება. ჩვენმა მოსწავლეებმა არაერთ კონკურსში, პროექტსა თუ სარაიონო, რესპუბლიკურ ღონისძიებებში მიიღეს მონაწილეობა, მათ რაიონის სახელი გაიტანეს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. მე შევეცდები ძალიან მოკლე ინფორმაციით შემოვიფარგლო და დავასახელო გამარჯვებული სკოლის გამარჯვებული მოსწავლეები: პროექტში „წიგნიერი თაობა“ გაიმარჯვეს შემდეგმა სკოლებმა: სამრეკლოს (450 დოლარი), ზემო მაჩხაანის (370 დოლარი) დედოფლისწყაროს N2 (400დოლარი) ქვემო ქედის საჯარო სკოლა (800 ლარი), ხორნაბუჯის საჯარო სკოლა (600ლარი). აღსანიშნავია, რომ თითოეულმა სკოლამ საჭიროებისამებრ გამოიყენა ეს თანხები. არხილოსკალოს საჯარო სკოლამ მიიღო მონაწილეობა პროექტში“კინო სკოლაში“, 4 მოსწავლე გახდა ამ ფესტივალის მონაწილე, სამთაწყაროს მოსწავლეებმა კი მიიღეს მონაწილეობა სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ გამოცხადებულ პლაკატებისა და სლოგანების კონკურსში, გაიმარჯვეს და მიწვეულ იყვნან გამოფენაზე.

არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალგაზრდული იდეის“ მიერ ახალგაზრდების ჩართულობის პროექტში სულ ათი ახალგაზრდა შეირჩა და მათ შორის არის ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე თამარ ჭილიტაშვილი, რომელიც გაემგზავრება ბოსნიაში.

დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის გუნდი ინტელექტპროექტ „რა, სად, როდის?“ რაიონულ ტურში გახდა პირველი ადგილის მფლობელი, ხოლო N1 საჯარო სკოლა მეორე ადგილის. N2 საჯარო სკოლის მოსწავლე ერეკლე ჩერქეზიშვილი ნიკო კეცხოველის პრემიის მე-3 ადგილის პრიზიორი გახდა „ფოტოსინთეზ – 2016“-ში გამოცხადებულ პროექტში.

დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლემ გაიმარჯვა მომავალ ლიდერთა გაცვლით პროგრამაში „FLEX”და გაემგზავრა აშშ-ში.

ზემო ქედის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გაიმარჯვეს გადაცემაში „ეკოვიზია“ და 5 მოსწავლეს გადაეცა 10 დღიანი საგზური ურეკში დასასვენებლად.

გამარჯვების საჯარო სკოლამ კონკურსში „ქიზიყური ფესტივალი“ გაიმარჯვა ორ ნომინაციაში და 200 ლარი ფულადი ჯილდო დაიმსახურა.

ზემო ქედის N1 საჯარო სკოლის მოსწავლემ გაიმარჯვა მედია-პროექტ „ეტალონში“, ხოლო შემოქმედებით კონფერენციაში ორმა მოსწავლემ დაიმსახურა პირველი ხარისხის დიპლომები.

ხორნაბუჯის საჯარო სკოლამ მიიღო მონაწილეობა განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ბლოგების კონკურსში“პლანეტა თამბაქოს გარეშე“, ისინი მოხვდნენ საუკეთესო ათეულში და დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.

არბოშიკის საჯარო სკოლის მეცხრეკლასელმა შპს „სენტენციას“ მიერ ორგანიზებულ ქართული ენისა და ლიტერატურის ოთხივე ეტაპი წარმატებით გადალახა , მიიღო ფულადი ჯილდო და სერთიფიკატი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, არ მინდა გამომრჩეს რომელიმე სკოლა, მაგრამ ეს სულ მცირე ჩამონათვალია, რაც გაკეთდა.

მინდა აღვნიშნო ისიც, რომ დედოფლისწყაროს საჯარო სკოლის პედაგოგები აქტიურად ჩაერთნენ საქველმოქმედო აქციაში „გაიღე სისხლი, აჩუქე ბავშვებს სიცოცხლე“. არხილოსკალოს საჯარო სკოლამ თვითმმართველობის ინიციატივით ჩაატარა საქველმოქმედო აქცია და შემოსული თანხა -2500 ლარი გადაეცა ოპერაციისათვის ბარბარე კობაიძეს. ასე რომ, ჩვენი მოსწავლეები და პედაგოგები ყოველთვის აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა ღონისძიებებში, რისთვისაც კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდი მათ.

მინდა გითხრათ, რომ თუ ჩვენ მოსწავლეთა წლიურ შეფასებებსა და საატესტატო გამოცდებზე მიღებულ შედეგებს შევადარებთ, ჩვენს სკოლებში ნამდვილად არ არის დიდი ცდომილება. მე არ ვიცი, საზოგადოებას რა ინფორმაცია აქვს ამის თაობაზე, მაგრამ სკოლებში, სადაც მოსწავლეები შეფასებულნი იყვნენ 10 ან 9 ქულით, არცერთი მათგანი არ ჩაჭრილა და არც 7 ქულაზე ნაკლები მიუღია. რაც შეეხება პედაგოგთა დასჯის მექანიზმს დაბალი აკადემიური შედეგების შემთხვევაში, ჯერჯერობით განათლების სისტემის კანონში ასეთი რამ არ არის, მაგრამ, მე ვფიქრობ, თავისთავად ცუდია, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეს მაღალ შეფასებას აძლევს და ის შემდეგ დაბალ ქულას ღებულობს, ეს უკვე სასჯელია პედაგოგისთვის. სკოლის დირექციას შეუძლია მხოლოდ პედაგოგს მიუთითოს, რაც შეიძლება ობიექტურად შეაფასოს თითოეული მოსწავლე. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოსწავლე გამოცდის ჩაბარების დროს ემოციური სტრესის ქვეშ იმყოფება, იგი შეიძლება დაიბნეს კიდეც და ცოდნას თავი ვერ მოუყაროს, არსებობს ამის უამრავი მაგალითი.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ჩვენს სკოლებში არ ყოფილა პრეცედენტი, რომ ათოსანს 7 ქულაზე დაბალი შეფასება მიეღოს.

აქვე შევეხები მოსწავლეთა მომზადების თემას. განათლების სამინისტროს კანონი არ კრძალავს რეპეტიტორობას, მაგრამ, ვფიქრობ, არაეთიკურია, საკუთარი მოსწავლის მომზადება, თუ ამ საკითხს კანონი დაარეგულირებს, ცუდი არ იქნება. რაც შეეხება საკმარის საბაზისო ცოდნას უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად, საჯარო სკოლები ნამდვილად იძლევა ამ ცოდნას, თუ მოსწავლე მოინდომებს და ისწავლის. ვფიქრობ, მშობლების მიდგომა ცოტა გადამეტებულია, როდესაც საკითხს პირიქით უდგებიან. თუმცა, აქვე დავძენ, რომ , ჩემი აზრით, ეროვნული სასწავლო გეგმებიც შესაცვლელია, უკვე ცნობილია, რომ სასწავლო გეგმა მომავალი წლიდან იცვლება 1-დან მე-6 კლასის ჩათვლით, შეიცვლება სახელმძღვანელოებიც და ალბათ, ეტაპობრივად ცვლილებები შეეხება ზედა საფეხურებსაც. მინდა აღვნიშნო, რომ მთავრობა ზრუნავს პედაგოგთა მოტივაციის ამღლებაზე, ოთხი წლის განმავლობაში ოთხჯერ გაიზარდა საბაზისო ხელფასი 245 ლარიდან- 405 ლარამდე, ხოლო სერთიფიცირებული პედაგოგების 60 ლარიანი დანამატი გახდა 160 ლარი. 101 ლარამდე გაიზარდა კლასის დამრიგებლის ხელფასი, 2017 წლისთვის დაგეგმილია ზრდა, სრული განაკვეთის შემთხვევაში 705 ლარამდე. ასე რომ , მასწავლებლის მოტივაცია



გაზრდილია, რაც მთავარია, პედაგოგები გათავისუფლებულნი არიან იმ წნეხისაგან, რომელსაც წლების განმავლობაში განიცდიდნენ, არ ეშინიათ, თავისუფალნი არიან თავიანთ არჩევანში. აქვე მინდა შევეხო სკოლებში მოქმედ სოციალურ პაკეტს. ყველას კარგად მოეხსენება, როგორ ზრუნავს მთავრობა სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისათვის, მათ ყოველწლიურად გადაეცემათ უფასო სახელმძღვანელოები, ეძლევათ საზაფხულო ბანაკებში დასვენების საშუალება.

მინდა შევეხო ბოლო შეკითხვას ძალადობასთან დაკავშირებით და სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ მიმდინარე სასწავლო წელს აღნიშნულ ფაქტს სკოლებში ადგილი არ ჰქონია, სკოლებში ძალადობასთან დაკავშირებით ბრძანებით რეფერირებაზე (ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების დამტკიცების შესახებ) განსაზღვრულია პასუხიმგებელი პირი.

**- ქალბატონო ეთერ, დიდი მადლობა ასეთი ინფორმაციული ინტერვიუსთვის.**

- მადლობა თქვენ, რომ მომეცით საშუალება, შეძლებისდაგვარად, გამეცნო რაიონის მოსახლეობისთვის ჩვენი მუშაობის შესახებ.

ელზა ხარაშვილი

# ლაერტ ზუბადალაშვილი: ასპარეზი ახალგაზრდებს დავუთმე

## „ძალიან შეცვლილია დედოფლისწყარო, ბევრი რამ კეთდება“

*ლაერტ ზუბადალაშვილს დედოფლისწყაროს მოსახლეობის წინაშე წარდგენა არ სჭირდება. ორი მოწვევის პარლამენტის წევრს, დედოფლისწყაროს ყოფილ მაჟორიტარ დეპუტატს ადგილობრივები კარგად იცნობენ. ერთ დროს აქტიური დეპუტატი, რომელიც თავისი ქველმოქმედებითაც იყო ცნობილი, დღეს ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს. გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, როგორ ცხოვრობს და რას ფიქრობს ლაერტ ზუბადალაშვილი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. როგორ წაართვეს დეზერტირების ბაზარი, აპირებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას, როგორ აფასებს „ქართული ოცნების“ ოთხწლიან მუშაობას ამ და სხვა თემებზე მის მოსაზრებას ექსკლუზიური ინტერვიუდან შეიტყობთ. მასთან საუბარი ყველაზე მტკივნეული თემით დავიწყეთ, რადგან ახლახან, მისი შვილის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით ახალი ინფორმაცია გავრცელდა.*

***ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი ზურაბ ზუბადალაშვილის მკვლელობის გამო, უვადო თავისუფლება აღკვეთილ, მსჯავრდებულ თეიმურაზ შარაშენიძის საქმის გადახედვას ითხოვს. ნიკოლაიშვილის განმარტებით, დედა-შვილ კვეზერელების საქმეში ბრალდებულმა ვასილ გოშაძემ და გიორგი ყუფარაძემ, 25-27 წლიანი სასჯელის შემსუბუქების მიზნით, 2003 წელს მომხდარი ზურაბ ზუბადალაშვილის მკვლელობა თეიმურაზ შარაშენიძეს დააბრალეს, რომელიც უკვე აღნიშნულ საქმეზე 7 წელია, უკანონოდ იხდის სასჯელს. ადვოკატის თქმით, პატიმრობაში ყოფნის დროს ვასილ გოშაძემ და გიორგი ყუფარაძემ მოითხოვეს დაკითხვა და განაცხადეს, რომ მათ ჰქონდათ შეკვეთილი ზურაბ ზუბადაშვილის მკვლელობა. მათი ინფორმაციით, შეკვეთა ზურაბ ზუბადალაშვილის სიმამრისგან, რევაზ ჩიჩუასგან მიიღეს ორი ათასი დოლარის სანაცვლოდ.***

ნიკოლაიშვილის განცხადებით, შარაშენიძე ყოფილი სპეცრაზმელი იყო, 1995 წლიდან კი, ბიზნესაქმიანობას ეწეოდა და ორიათასი დოლარი მისთვის მკვლელობის მოტივაცია ვერ იქნებოდა. მისი თქმით, გოშაძემ და ყუფარაძემ შარაშენიძის ინციდენტი გამოიყენეს, როდესაც მას ყოფით ნიადაგზე, 1994 წელს 2 პოლიციელი შემოაკვდა, თუმცა საქმე დაიხურა და მას ბრალი არ დაუმტკიცდა, რადგანაც მკვლელობა აუცილებელი მოგერიების დროს განხორციელდა. ადვოკატის განცხადებით, გამოძიებას ზუბადალაშვილის მკვლელობის სწრაფად გახსნის დაინტერესება ჰქონდა.

„გამოძიებამ დაუშვა ის, რომ თეიმურაზ შარაშენიძე, რომელსაც არანაირი შეხება არ ჰქონდა ამ მკვლელობასთან, უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ხოლო გოშაძეს და ყუფარაძეს სასჯელი შეუმცირეს, მინიმუმამდე დაუყვანეს იმდენად, რომ უკვე 2013 წელს, ამნისტია შეეხოთ და გათავისუფლდნენ. თვითონ თეიმურაზ შარაშენიძე მის დაპატიმრებას საკუთარ ბიზნესსაქმიანობას უკავშირებს", – განაცხადა ნიკოლაიშვილმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე.

ლაერტ ზუბადალაშვილი: „გარკვეული პრეტენზიები რა თქმა უნდა ისევ მაქვს, მაგრამ უკვე დაგვიანებულია, არაფერი არ ეშველება. რაც შეეხება ადვოკატის მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას, რომ შარაშენიძე, რომელსაც უვადო პატიმრობა აქვს მისჯილი, უდანაშაულოა, გულწრფელად გეტყვით, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ზურას შარაშენიძემ ესროლა თუ არა... მთავარ დამნაშავედ მიმაჩნია მკვლელობის შემკვეთი, მისი სიმამრი რეზო ჩაჩუა... თორემ, სასხლეტს ვინ გამოჰკრა ხელი, ეს მეასე ხარისხოვანია. შარაშენიძე არ გააკეთებდა, სხვა იქნებოდა... კონკრეტულად ვინ შეასრულა შეკვეთა, ან დამნაშავეა თუ უდანაშაულოა შარაშენიძე, ეს საგამოძიებო ორგანოების საქმეა. ვიცნობ ადვოკად ნიკოლაიშვილს, ამ პრესკონფერენციის შემდეგ შევხვდი და ვესაუბრე, ჩემთან სახლშიც იყო მოსული. ადვოკატის საქმიანობა ესაა, რომ მისი კლიენტის ინტერესები დაიცვას და ამაში გასმრჯელო აიღოს. არ მინახავს ადვოკატი, რომელიც მის კლიენტზე აღიარებს, რომ დამნაშავეა. ასეა ნიკოლაიშვილის შემთხვევაშიც, თორემ არ მგონია მას რაიმე ახალი დეტალები ჰქონდეს. სასამართლოს მიერ დამკვეთიც დაისაჯა და შემსრულებელიც. ზურას სიმამრიც იხდიდა სასჯელს და ციხეში გარდაიცვალა. მან ღმერთის წინაშეც აგო პასუხი და ჩემს წინაშეც.

**– თქვენი ინფორმაციით, გოშაძეს და ყუფარაძეს რა შეხება ჰქონდათ შარაშენიძესთან?**

– მინდა გითხრათ, რომ მათ ითანამშრომლეს პროკურატურასთან და ეს საქმე ციხეში გაიხსნა. შემდეგ, რადგან საქმე მათი წყალობით გაიხსნა, ისინი გაათავისუფლეს და შარაშენიძე დაიჭირეს. თუმცა, ჩემთვის მთავარი დამნაშავე შემკვეთია. მოტივზე საუბარი არ მინდა, რადგან ჩემთვის ძალიან რთული საკითხია. შვილიშვილი მყავს და საჯაროდ ამ საკითხზე საუბარი მეუხერხულება.

**– ანუ, ოჯახი საქმის ხელახლა გამოძიების აუცილებლობას ვერ ხედავს?**

– ამას არ აქვს მნიშვნელობა. მთავარი დამკვეთი უკვე დაისაჯა და ხელახლა გამოძიებით ჩემს შვილს არაფერი ეშველება, მას ვერავინ გამიცოცხლებს. თუ შარაშენიძე თვლის, რომ ამ საქმეში მართალია, კი ბატონო, იმართლოს თავი, დაამტკიცოს და გამოვიდეს....

**– „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში ყოფნის პირველი ვადა ამოეწურა, როგორ შეაფასებთ მათ მუშაობას?**

– ძალიან დიდი გულშემატკივარი ვარ ამ ხელისუფლების. თუმცა, როგორც ყველას, მეც ძალიან გული მტკივა, რომ ხელისუფლებამ ვერ გაამართლა მოსახლეობის იმედები სამართლიანობის აღდგენასთან და წართმეული ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით. მხოლოდ რამდენიმე ათეული ავტომობილის დაბრუნება გაშუქდა, სხვა ვის რა დაუბრუნეს? ვის მიმართ აღდგა სამართლიანობა? დიდი ნაწილი დღემდე ელის სიმართლის დადგენას. სხვათაშორის, მიწის ნაკვეთი წიწამურში მეც წამართვეს. შევიტანე განცხადება, პროცესი მოვიგე, გაგვამართლეს, მაგრამ ეკონომიკის სამინისტროს განკარგულებაშია, მაინც არ გვიბრუნებენ და დროში ჭიანურდება. ვერ გავიგე რა ხდება, როგორც პარტიის გულშემატკივარი, ისე ვამბობ ამას. დამნაშავეებს თუ არ სჯიან, ქონება მაინც დააბრუნონ, რომ აღდგეს სამართლიანობის განცდა.

**– დეზერტირების ბაზრის მფლობელი იყავით და ქონების წართმევაზე როცა ვსაუბრობთ, ცნობილია, რომ ბაზარი იძულებით დაგათმობინეს...**

– წინა ხელისუფლების პირველ პირთან, მიხეილ სააკაშვილთან, მისი კარიერის პირველ წლებში ახლო ურთიერთობა მქონდა, ძალიან მეგობრულად ვიყავით. 1995 წლის მოწვევის პარლამენტში მიშაც პირველად შევიდა პარლამენტის წევრად და მეც. ამ პერიოდში ის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე იყო, მე კომიტეტის წევრი ვიყავი. თავიდან თითქოს ნორმალური ახალგაზრდა ჩანდა, მერე ნელნელა შეიცვალა, ველარ ვცნობდი. ყველაფრის მიუხედავად ეჭვიც არ მეპარება, რომ მას ეს არ სცოდნოდა და მისგან დამოუკიდებლად გაეკეთებინათ... ერთ მშვენიერ დღეს დამიბარეს და მომთხოვეს, რომ დეზერტირების ბაზარი დამეთმო. პირდაპირ მითხრეს, უნდა გაყიდოო. თუ გავიხსენებთ იმ პერიოდში როგორი წესები მოქმედებდა, ქონების წართმევას რა მეთოდებით ახდენდნენ, ნოტარიუსის ღამით მიყვანა, ქონების იძულებით გადაფორმება და ციხეში გაშვება, ამიტომაც დავემორჩილე და გავყიდე. თუმცა, მყიდველმა თანხის გადახდა ვერ შეძლო და ბოლოს ბაზრის 20 პროცენტი წილი ისევ დამიტოვეს. შემდეგ ბაზარი დაშალეს და ახალი აშენდა. ამიტომ, იქიდან შემოსავალი ჯერ არ მაქვს, რადგან თანხა ჯერ იმ კრედიტებს ხმარდება, რითიც რეაბილიტაცია მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბაზარი დამათმობინეს, ახლა „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის სტილს რომ ვიხსენებ, კიდევ მადლობელი უნდა ვიყო, რომ სუფთად გამოვედი, არ გამწირეს და უარესი არ დამმართეს. შემდეგ ვანო მერაბიშვილს გაუგია, ლაერტი ნაწყენიაო და გაკვირვებია, რაზეა ნაწყენი, ხომ გაყიდაო... გეგონება გაყიდვაზე ვვოცნებობდი.

რა თქმა უნდა, ნაწყენი დავრჩი, რადგან სხვა გეგმები მქონდა, შემდეგ კი სხვანაირად მაიძულეს და ქონება წამართვეს. ამჯერად, ჩივილს არ ვაპირებ, რადგან არავისთვის არაფერი დაუბრუნებიათ და ახლა რომ განვაცხადო და ვიდავო, რა შედეგი ექნება. სხვათაშორის, ჩემი ბაზარი ვინც იყიდეს, ახლა ისინიც ნანობენ, რატომ დავანგრიეთო.

**– ახსენეთ, გულშემატკივარი ვარ ხელისუფლებისო და რა დადებით ძვრებს ხედავთ „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში?**

– არავინ გვატერორებს, ქონებას არ გვართმევს, დაყაჩაღება, დაჭერა აღარ ხდება... თავისუფალი გარემო შეიქმნა, აღარ არის ის მასობრივი შიში და დაძაბულობა. ბრმა უნდა იყო, ან „ნაციონალი“, რომ ეს ცვლილება ვერ დაინახო. ობიექტურად უნდა შევხედოთ, ვიმსჯელოთ და შევაფასოთ. რაშიც ტყუიან, ისაა, რომ დანაპირებს ვერ ასრულებენ, თუმცა დადებითი ძვრებიც თვალშისაცემია. ეს ცოტას არ ნიშნავს, ადამიანის უფლებები რომ დაცულია, ყველა დამეთანხმება, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ადრე პრესაშიც კი რაიმე ზედმეტი რომ წაგცდენოდა, თუ მოისურვებდნენ, უკვე დამთავრებული იყო შენი საქმე, მეორე დღეს აღარც ქონება გექნებოდა და ციხეშიც გაგიშვებდნენ. ხმის ამოღებასაც ვერავინ ბედავდა.

**– არჩევნები მოგვიახლოვდა, კიდევ ხომ არ აპირებთ რაიმე ფორმით ჩაერთოთ საარჩევნო კამპანიაში?**

– არა, ნამდვილად არ ვაპირებ. საჭიროდ აღარ ვთვლი და ახალგაზრდებს დავუთმე ასპარეზი. ჩემი საქმეები მაქვს და პოლიტიკისთვის არ მცალია, პირადი ბიზნესი მაქვს და ჩემთვის წყნარად ვცხოვრობ. სურვილი ნამდვილად არ მაქვს, სიაშიც რომ ჩამწერონ, ალბათ უარს ვიტყვი. რამდენჯერმე უკვე დავამტკიცე, რომ ღირსეული ვიყავი და ეს საკმარისია...

**– რა მოლოდინები გაქვთ ოქტომბერში დანიშნული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ?**

– რაც შეეხება ჩემს მოლოდინებს, ვფიქრობ, რომ ამ შემოდგომაზე მრავალპარტიულ პარლამენტს მივიღებთ. ჩემი აზრით ისევ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, მაგრამ იმხელა უმრავლესობა აღარ ექნება და სხვა პარტიებიც ბევრი მოხვდება პარლამენტში. ვფიქრობ ბევრი ახალი სახეც გამოჩნდება, მაგალითად ირმა ინაშვილის პარტია აუცილებლად გადალახავს ბარიერს და სხვა რამდენიმე...

ორი მოწვევის პარლამეტარი მიწოდეთ, მაგრამ სამი მოწვევის ვარ, რადგან მოგებული არჩევნები გამიყალბეს. ამაში ჩემი ნათესავი, რაიონის გამგებელიც იყო ჩართული და მათი დამსახურებით ერთი ვადა გამოვტოვე... მესამედ კენჭი სწორედ ამიტომ ვიყარე, რომ დამემტკიცებინა ჩემი სიმართლე და დამედასტურებინა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა მე მიჭერდა მხარს. ასეც აღმოჩნდა. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ხმების დიდი უპირატესობით გავიმარჯვე და შემდეგ აღიარეს, როგორ გააყალბეს და სოფლების მიხედვით რა ხმები მომპარეს.

**– ამჟამად დედოფლისწყაროს მაჟორიტარი ზაზა კედელაშვილია. ცნობილია, რომ მის კარიერულ ზრდაში წვლილი გაქვთ. ხშირი ურთიერთობა გქონდათ. მას შემდეგ, რაც პოლიტიკაში გადაინაცვლა და თქვენი გზა გააგრძელა, როგორ აფასებთ მის მუშაობას?**

– მოსაკლავი მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდია!... (იცინის) ზაზა ხელმოკლე ოჯახიდან იყო და როდესაც პირველ ნაბიჯებს დგამდა ჩემპიონატებზე გასამგზავრებელი თანხები არ ჰქონდა, ამიტომ ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება რამდენჯერმე დაუფინანსე. წავიდა და ოქროს მედალი ჩამოიტანა, შემდეგ კიდევ ვეხმარებოდი. ჩემი გაზრდილია, ყოველთვის გვერდით ვედექი... ჩემთან ოჯახშიც მოდიოდა, სამსახურშიც ხშირად დადიოდა, მაგრამ რაც დეპუტატი გახდა აღარ შევხვედრივარ. უკმაყოფილო ვარ, რადგან ყველა ემდურის, ბევრი ამბობს არ ჩადის რაიონში და ხალხს ყურადღებას არ აქცევსო. ბოლო ხანს ძნელი სანახავი გახდა. არადა, ხალხის არჩეულია და ხალხთან ახლოს უნდა იყოს, მოეფეროს და თუ რამე შეუძლია გააკეთოს. ძალიან გულგატეხილი ვარ და თავიდანვე, როცა ნაციონალების გვერდით დადგა არ მომწონდა. ადრე მითხრა, ხელისუფლება მთავაზობს რაღაცეებსო და მაშინვე ვურჩიე, ისარგებლე, მაგრამ ბოლომდე არ ჩაჰყვემეთქი, მაგრამ არ დამიჯერა და „პირველი ნაციონალი“ გახდა. უთქვამს, უკრაინაში სააკაშვილთან უნდა წავიდე, აქ ყოფნა არ მინდაო და ძალიან სულელური გადაწყვეტილებაა, თუ ეს მართალია. როგორც პიროვნება და სპორტსმენი, კარგი იყო, მაგრამ ცუდ გზას დაადგა. რომ ვთქვა, რომ დაველაპარაკები და მოგისმენს მეთქი, აზრი არ აქვს.

**– ირაკლი ღარიბაშვილზე მინდა გკითხოთ, პრემიერობის დროს რამდენად გაართვა თავი მოვალეობას?**

– ირაკლი ყველაზე ნათელი წერტილია „ქართულ ოცნებაში“. ძალიან მომწონს და პატივს ვცემ. აშკარაა, რომ მოსახლეობაში კეთილგანწყობით სარგებლობს და ძალიან მაღალი რეიტინგი აქვს. დღესვე რომ იყაროს კენჭი ნებისმიერ თანამდებობაზე, აუცილებლად მაღალი პროცენტით გაიმარჯვებს. ვფიქრობ, კარგად გაართვა თავი სირთულეებს, ერთადერთი კახური პირდაპირობა აქვსო, ბევრს ეს თვისება არ მოსწონდა. როცა პრემიერი იყო, მას შემდეგ არ შევხვედრივარ, არ შემიწუხებია... მის ოჯახთან დიდი ხანია ვმეგობრობ და ბავშვობაში შევხვედრივარ, მის ქორწილშიც ვიყავი. ძალიან კარგი ახალგაზრდა, დადებითი ადამიანია. „ქართუ ბანკში“ ყოფნის დროსაც ვკონტაქტობდი. აუცილებლად უნდა დაბრუნდეს, დასანანია, მისი გამოცდილება და შესაძლებლობები არ იყოს გამოყენებული. თუ ხელისუფლება მოისურვებს, ალბათ პრეზიდენტობაზე რომ იყაროს კენჭი ძალიან კარგი იქნებოდა.

**– რამდენად ხშირად ახერხებთ დედოფლისწყაროში ჩასვლას?**

– ბოლო ხანს მშობლიურ მხარეში იშვიათად ჩავდივარ, ლხინის, ან ჭირის სუფრებზე მიხდება. მშობლები აღარ მყავს და სახლკარი ასე დაკეტილი გვაქვს. მსიამოვნებს და პატარა მიზეზი მინდა, რომ იქ ჩავიდე ხოლმე, სიხარულით მივდივარ დედოფლისწყაროში. ძალიან შეცვლილია დედოფლისწყარო. ბევრი რამ კეთდება. ცენტრშიც გაუმჯობესებულია, ნელნელა საქმე კეთდება და ჯადოსნური ჯოხი არავის აქვს, რომ დაატრიალოს და ერთი ხელის აქნევით მოაგვაროს.




ილია მარტყოფლიშვილი

# გიორგი კვირიკაშვილმა მმართველი გუნდის ახალი სახეები წარადგინა

***ჩვენ ვართ თავმდაბლები, მაგრამ ვართ თავდაჯერებულები და იმ რწმენით გამსჭვალული, რომ საქართველო გაიმარჯვებს; ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი, - ეს განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ გიორგი კვირიკაშვილმა საგურამოში გააკეთა, სადაც პარტიის ახალი სახეები წარადგინა.***

***თამარ ჩუგოშვილი, გიორგი გახარია, ირაკლი კობახიძე, აკაკი ზოიძე, არჩილ თალაკვაძე, თამარ ხულორდავა, ირინა ფრუიძე, კახა კუჭავა, მამუკა მდინარაძე, მარიამ ჯაში, ნინო გოგუაძე, რომან კაკულია, სოფო კილაძე, სოფო ქაცარავა და სოფო ჯაფარიძე დღეიდან „ქართული ოცნების“ გუნდს შეუერთდნენ.***

გიორგი კვირიკაშვილი ამბობს, რომ გუნდის ახალი წევრებს ზურგს უმაგრებთ კარგი რეპუტაცია, საუკეთესო განათლება და მაღალი პროფესიონალიზმი.

„დღევანდელი ჩვენი თავშეყრით საგურამოში, აქ, სადაც ილიას უკვდავი სული ტრიალებს, გვინდა, პირველ რიგში, საკუთარ თავს და ქართველ ხალხს დავუდასტუროთ, რომ დიდი ილიას გზის, მისი ღირებულებების ერთგული ვიქნებით და ძალ-ღონეს არ დავიშურებთ ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის სამსახურისთვის. ჩვენ არ გადავუხვევთ ქართველი ერის ისტორიულ არჩევანს და მტკიცედ ვივლით ევროპისკენ, განათლებული და წარმატებული საქართველოსკენ. ისევ ილიას სიტყვებს მოვიშველიებ, რომელიც გვეუბნებოდა: ,,ქვეყანას ევროპული გამოცდილება, მეცნიერება და განათლება სჭირდება. ეს უნდა იყოს მისი თოფიარაღი” . დღეს ჩვენს თაობას პატივი ერგო, იყოს ქვეყანაში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი ისტორიული პოლიტიკური პროცესების შემოქმედი და მონაწილე. დღეს ყველა ერთად გავდივართ იმ გზას, რომელმაც უნდა განსაზღვროს საქართველოს დემოკრატიული და ევროპული მომავალი. ჩვენ, როგორც მმართველ გუნდს, აღებული გვაქვს პასუხისმგებლობა, რომ ქვეყანა სახელმწიფოებრივი განვითარების ახალ ეტაპზე გადავიყვანოთ, ფეხზე დავაყენოთ ეკონომიკა და ყველაფერი გავაკეთოთ ჩვენი ხალხის, თითოეული ჩვენი მოქალაქის კეთილდღეობის მისაღწევად. საუკუნეზე მეტი ხნის წინ თქვა ილიამ: ,,ყოველი წყობილება, რომლის ძალითაც მოქმედებს მთელი კაცობრიობა, იმიტომ არის შემოღებული, რომ ადამიანი, რამდენადაც შესაძლოა, ბედნიერი იყოს“. ეს სიტყვები ჩვენი გზის სისწორეს ადასტურებს - დიახ, ჩვენი ხელისუფლება ისეთ სახელმწიფოს აშენებს, რომლის ცენტრშიც გახლავთ ადამიანი და ადამიანის ღირსება“, - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერის შეფასებით, ,,ქართულმა ოცნებამ“ შეძლო და ამ 4 წელიწადში, სირთულეების მიუხედავად, მყარი საფუძველი ჩაუყარა ფუნდამენტურ ცვლილებებს მრავალი მიმართულებით, რომლებიც მალე თითოეული ადამიანისთვის ხელშესახები გახდება. „ხელისუფლების ვალდებულებაა ემსახუროს ხალხს და ჩვენ ვცდილობთ, ბევრი არ ვილაპარაკოთ გაკეთებულ საქმეებზე, რადგან ხალხი ამას ისედაც ხედავს. როგორც ილია ამბობს, ,,ჭეშმარიტ ღირსებას ყვირილი არ უნდა!“. დღეს ქართულ პოლიტიკას ახალი ენერგია, ახლებური ხედვა სჭირდება. დღევანდელი რეალობა ახალ დღის წესრიგს, ახალ მოთხოვნებს გვიყენებს, რომლებსაც ჩვენი პარტია განახლებული გუნდით ხვდება და მზად არის, უპასუხოს ყველა გამოწვევას. დღეს მინდა წარმოგიდგინოთ ის ადამიანები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, დადებით მუხტს შემოიტანენ არა მარტო ,,ქართულ ოცნებაში“, არამედ, ზოგადად, ქართულ პოლიტიკაში“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ქვეყანას მხოლოდ მაღალი ღირებულებების ერთგული და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები აშენებენ და გუნდის ყველა ახალი წევრი, რომელიც სწორედ ამ ნიშნით არის შერჩეული, მზად არის, საკუთარი ცოდნა და ენერგია ქვეყნის სამსახურს მოახმაროს.

მთავრობის მეთაური დარწმუნებულია, რომ მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში ,,ქართული ოცნება“ განახლებული გუნდით, არსებული გუნდის წევრებთან ერთად, ისევ დამაჯერებლად გაიმარჯვებს.

„ამის რწმენას მაძლევს ჩვენი ერთობა, შემართება, კონკრეტული მიზნები, მომავლის მკაფიო ხედვა. გპირდებით, რომ ,,ქართული ოცნების“ თითოეული ნაბიჯი ჩვენი სამშობლოს წინსვლასა და სიძლიერეს მოემსახურება!“, - განაცხადა პრემიერმა და გუნდის ახალი წევრების შესახებ დეტალურად ისაუბრა.

**თამარ ჩუგოშვილი** - მას იცნობს ჩვენი საზოგადოება, როგორც გამოცდილ იურისტსა და შეუპოვარ უფლებადამცველს. თამარი გახლავთ ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, კენედის სახელობის სახელმწიფო მართვის სკოლის მაგისტრის ხარისხის მფლობელი, არის მრავალი ნაშრომის ავტორი. 2013-14 წლებში იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში. ამავე პერიოდში იყო მთავრობის ადამიანის უფლებების დაცვის სამდივნოს ხელმძღვანელი. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მისი დამსახურება და თავდაუზოგავი შრომა, რომელიც მან გასწია თომას ჰამერბერგთან ერთად, და დღეს მისი წყალობით ჩვენ გვაქვს ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპის მოწინავე ქვეყნებს შორისაც კი. დღეს თამარი პირველ ნაბიჯებს დგამს პოლიტიკაში, და მინდა, დიდი წარმატება ვუსურვო მას.

**გიორგი გახარია** - ის არის ლომონოსოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, აქვს ბიზნესის მართვის მაგისტრისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი. გიორგი არის ფართო განათლების ადამიანი, გამოირჩევა პრინციპულობით, ლიდერის თვისებებით. გიორგი გახლავთ ბიზნესომბუდსმენი და ის, რომ მან ბიზნესის წარმომადგენლებთან მოახერხა სრულიად განსხვავებული, თანამშრომლობაზე ორიენტირებული ურთიერთობების ჩამოყალიბება, ძალიან მნიშვნელოვანია. მიმაჩნია, რომ მისი შემოსვლა ჩვენს რიგებში დიდი შენაძენია, არა მარტო „ქართული ოცნებისთვის“, არამედ მთლიანად ქართული პოლიტიკისთვის.

**ირაკლი კობახიძე** - ირაკლის უკვე ყველა კარგად იცნობს. ის გახლავთ ჩვენი პარტიის აღმასრულებელი მდივანი. ირაკლის იურიდიული განათლება მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გერმანიაში. 2006 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია დიუსელდორფის უნივერსიტეტში. წლების განმავლობაში მუშაობდა საერთაშორისო ორგანიზაციებში ექსპერტად და პროექტების მენეჯერად, ასევე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში. ირაკლი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

**აკაკი ზოიძე** - გახლავთ კოლუმბიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული საერთაშორისო და სახელმწიფო მართვის მიმართულებით. აქვს საჯარო სამსახურის 7-წლიანი გამოცდილება. მას მონაწილეობა აქვს მიღებული ევროპის და აზიის 15 ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების პროცესში, როგორც მსოფლიო ბანკის, გაეროს, ევროგაერთიანების და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების ექსპერტს. ბატონი აკაკი წარმატებულია თავის საქმეში და, დარწმუნებული ვარ, ასეთივე წარმატებული იქნება პოლიტიკაშიც.

**არჩილ თალაკვაძე** - არჩილსაც, ვფიქრობ, არ სჭირდება განსაკუთრებული წარდგენა. არჩილი გახლავთ მენეჯმენტის სპეციალისტი, სწავლობდა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში და GIPA-ში. მუშაობდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს - USAID-ის დემოკრატიული მმართველობის პროგრამაში, შემდგომ, 2 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების სამინისტროში, სადაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რეფორმებში. ამჟამად გახლავთ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, რასაც წარმატებით ართმევს თავს. არჩილმა გადაწყვიტა, რომ შემოუერთდეს ჩვენს საპარლამენტო გუნდს და უფრო აქტიურად ჩაერთოს პოლიტიკაში. წარმატება ვუსურვოთ მას.

**თამარ ხულორდავა** - თამარი გახლავთ სამართალმცოდნეობის მაგისტრი, ამჟამად არის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილე. ქალბატონი თამარი არის ამერიკის იურისტთა ასოციაციის წევრი, მუშაობდა ევროკავშირის წარმომადგენლობაში იურისტად, იგი ხელმძღვანელობდა კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით საერთაშორისო პროგრამებს და იმედი მაქვს, მისი გამოცდილება წაადგება ჩვენს გუნდს. წარმატება ვუსურვოთ მას.

**ირინა ფრუიძე** - ირინა პროფესიით გახლავთ ფსიქოლოგი და ექიმი. მას ყველა იცნობს როგორც ,,რა, სად, როდის“ ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ კაპიტანს. და, დარწმუნებული ვარ, მისი როგორც ინტელექტი, ასევე პროფესია, ერთნაირად გამოადგება „ქართულ ოცნებას“. ასევე, მინდა ვთქვა, რომ რამდენიმე დღის წინ, იგი გახდა მეორე შვილის დედა და მინდა, ყველაფერი ერთად მივულოცო მას.

**კახა კუჭავა** - კახა გახლავთ სამართალმცოდნე, გახლავთ ნოტინგემის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, კორპორაციული სამართლის მაგისტრი, ბოლო 5 წელი მოღვაწეობს კერძო სექტორში სამთო-მოპოვებითი მიმართულებით. მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება 2 მნიშვნელოვანი პროექტი ამ მიმართულებით და ის ბიზნესიდან შემოდის პოლიტიკაში. მინდა, დიდი წარმატებები ვუსურვო მას ამ სრულიად ახალ ამპლუაში.

**მამუკა მდინარაძე** - მამუკაც, ბოლო პერიოდის განმავლობაში, ქართულმა საზოგადოებამ კარგად გაიცნო. იგი გახლავთ სამართლის დოქტორი. მას იცნობენ როგორც წარმატებულ ადვოკატს, იგი დღემდე არის ადვოკატთა ალიანსის თავმჯდომარე და საქართველოს პარაოლიმპიური ფონდის ხელმძღვანელი. მამუკა არის სამართლის ისტორიაში უპრეცედენტო პროექტის „საადვოკატო გამოძიების სამსახურის“ ავტორი. წარმატება ვუსურვოთ მამუკას.

**მარიამ ჯაში** - მარიამი არ გახლავთ დღეს ჩვენთან, იგი იმყოფება მნიშვნელოვან მივლინებაში. იგი გახლავთ ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, კენედის სახელობის სამთავრობო სკოლის მაგისტრი სახელმწიფო ადმინისტრაციის საკითხებში, აგრეთვე მინიჭებული აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის ხარისხი. მარიამი იყო ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, დაარსების დღიდან წარმატებით ხელმძღვანელობს „სოლიდარობის ფონდს“, რომელმაც უკვე ბევრი ბავშვის სიცოცხლე იხსნა. მივესალმოთ ასევე მარიამის შემოერთებას „ქართული ოცნების“ გუნდში.

**ნინო გოგუაძე** - ნინო გახლავთ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი. მისი ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ნინო უკვე გამოცდილი პოლიტიკოსია. 6 წლის განმავლობაში იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი, ამჟამად გახლავთ თბილისის საკრებულოს ფრაქცია “ქართული ოცნება -კონსერვატორების“ თავმჯდომარე. მივესალმოთ და წარმატება ვუსურვოთ.

**რომან კაკულია** - რომანს აქვს დიდი გამოცდილება ევროპულ სტრუქტურებთან ურთიერთობების კუთხით, ამჟამად გახლავთ ევროკავშირის პროგრამების კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატში. ამ დეპარტამენტის კოორდინაციით, თითქმის ყველა სამინისტროში დღეისათვის მიმდინარეობს ევროკავშირის ინსტიტუციური განვითარების პროექტები, რომლებიც აძლიერებენ და მხარს უჭერენ ჩვენს სახელმწიფო უწყებებს ევროკავშირთან დაახლოებისათვის და ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში. წარმატება ვუსურვოთ რომანს და მივესალმოთ მის შემოერთებას ჩვენს გუნდში.

**სოფო კილაძე** - სოფო გახლავთ თავისი საქმის პროფესიონალი, იურისტი. არის ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. მუშაობდა მაქს-პლანკის ინსტიტუტში გერმანიაში და იყო შსს-ს აკადემიის პრორექტორი. სოფო წარმატებული ადამიანია, და ვფიქრობ, რომ პოლიტიკაშიც იგი იტყვის თავის სიტყვას. მივესალმოთ მის შემოერთებას.

**სოფო ქაცარავა** - სოფო გახლავთ უცხო ენების სპეციალისტი, იგი იყო ბრიტანეთის საელჩოს პოლიტიკური მდივანი. იყო ამავე საელჩოს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი და წლების განმავლობაში ისეთი უმნიშვნელოვანესი პროექტების კოორდინატორი, როგორიც გახლავთ სასტიპენდიო/საგანმანათლებლო პროგრამა ჩჰევენინგ-ი, რომლითაც მრავალმა ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო ძალიან მნიშვნელოვანი განათლება დიდ ბრიტანეთში. მანამდე მუშაობდა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდში (WWF). მივესალმოთ სოფოს შემოსვლას „ქართული ოცნების“ გუნდში.

**სოფო ჯაფარიძე** - მაგისტრი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში, ესექსის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების სამართლებრივი ექსპერტი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ყოფილი მოადგილე, არასამთავრობო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით. მივესალმოთ სოფოს შემოსვლას ჩვენს გუნდში.

პრემიერმა გუნდის ახალი წევრების წარდგენისას ყურადღება გენდერული თანასწორობის საკითხზეც გაამახვილა და აღნიშნა, რომ წარდგენილი 15 ადამიანიდან, 8 ქალი და 7 მამაკაცია.

„მივეჩვიოთ ამ ახალ რეალობას, რაც, ვფიქრობთ, ძალიან მისასალმებელია. ჩემო კოლეგებო, წარმატებები მინდა გისურვოთ ყველას, ჩვენი გუნდის ახალ და არსებულ წევრებს, იმ რწმენით, რომ ჩვენ ყველანი ერთად გავიმარჯვებთ არჩევნებში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ! გილოცავთ დღევანდელ დღეს და გამოვთქვამ იმედს, რომ საქართველო აუცილებლად გაბრწყინდება და ის ფაქტი, რომ ჩვენ დღეს ვიმყოფებით ამ წმინდა ადგილას, კიდევ ერთხელ მოწმობს ჩვენს მოწოდებას, ავაშენოთ უკეთესი საქართველო ყველასათვის, ავაშენოთ ქვეყანა, რომელშიც ქართველი კაცის, საქართველოს მოქალაქის საუკეთესო თვისებები იქნება ხაზგასმული. მინდა, ის ორი საუკეთესო თვისება მოვიყვანო ჩვენს იდეალად და ჩვენს მიზნად, რომელსაც ილია ყველა თავისი ნაბიჯით ყოველდღიურად უსვამდა ხაზს - ეს არის ქართველი კაცის თავმდაბლობა, მაგრამ ამავე დროს, თავდაჯერებულობა. ჩვენ ვართ თავმდაბლები, მაგრამ ჩვენ ვართ თავდაჯერებულები და იმ რწმენით გამსჭვალული, რომ საქართველო გაიმარჯვებს. ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი. გილოცავთ დღევანდელ დღეს!“, - მიმართა პრემიერმა საგურამოში შეკრებილ საზოგადოებას.

# 84-მდე გაიზარდა ნიცაში თავდასხმის შედეგად დაღუპულთა რიცხვი

84 ადამიანი დაიღუპა ამ დროისთვის ბოლო მონაცემებით, საფრანგეთის ქალაქ ნიცაში გასულ ღამით მომხდარი თავდასხმის შედეგად. საფრანგეთის შსს-ს ინფორმაციით, ასზე მეტი დაშავებულიდან 18-ის მდგომარეობა კრიტიკულია. სატვირთო ავტომანქანა მთელი სისწრაფით შევარდა სანაპიროზე, სადაც ათასობით ადამიანი იყო შეკრებილი საფრანგეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ფეიერვერკის სანახავად. სატვირთო ავტომანქანამ დიდი სისწრაფით გაიარა ხალხით სავსე, დაახლოებით ორკილომეტრიანი მონაკვეთი. ავტომანქანაში, რომლის მძღოლი პოლიციელებმა მოკლეს, აღმოჩენილია ხელყუმბარები და ცეცხლსასროლი იარაღი. სააგენტო ფრანს პრესი თავის წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ ავტომობილში ნაპოვნია ნიცის მცხოვრების, წარმოშობით ტუნისელის დოკუმენტები. ნიცაში მომხდარი თავდასხმა ტერაქტად შეაფასა საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა. მან გვიან ღამით ტელევიზიით მიმართა საფრანგეთის მოქალაქეებს და განაცხადა, რომ ქვეყანა ისლამური ტერორიზმის საფრთხის წინაშეა, რასაც სიმტკიცე და სიფრთხილე სჭირდება. ფრანსუა ოლანდმა აღნიშნა, რომ საფრანგეთში კიდევ სამი თვით გაგრძელდება საგანგებო მდგომარეობა, რომელიც პარიზში, შარშან ნოემბერში მომხდარი თავდასხმების შემდეგ გამოცხადდა. საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადა 26 ივლისს იწურებოდა.



ნიცაში მომხდარი თავდასხმის გამო საქართველოს მოქალაქეებს ჯერჯერობით არ მიუმართავთ საფრანგეთში საქართველოს საელჩოსთვის. ელჩმა ეკა სირაძე-დელონემ დღეს დილით, სააგენტო ინტერპრესნიუსს განუცხადა, რომ ადგილობრივ სამართალდამცავებთან ინტენსიური კონტაქტით ჯერჯერობით არ დასტურდება დაღუპულთა და დაშავებულთა შორის საქართველოს მოქალაქეების ყოფნა. ამასთან, ეკა სირაძე-დელონემ აღნიშნა, ბევრი ადამიანი ჯერ კიდევ არ არის ამოცნობილი, ამიტომ საქართველოს საელჩო ინფორმაციის მოძიებას განაგრძობს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის და ხალხის სახელით თანაგრძნობა გამოუცხადა ქალაქ ნიცაში თავდასხმის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს, ფრანგ ხალხს და საფრანგეთის მთავრობას. „შემაძრწუნებელია ტრაგედია ქალაქ ნიცაში, სადაც წარმოუდგენელ სისასტიკეს ემსხვერპლა უდანაშაულო ადამიანების, მათ შორის ბავშვების სიცოცხლე“ - ნათქვამია საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებაში. გიორგი კვირიკაშვილმა საფრანგეთში მომხდარ თავდასხმას უწოდა უდიდესი გამოწვევა მთელი ცივილიზებული მსოფლიოსთვის. “მჯერა, რომ დემოკრატიული სამყარო საერთო ძალებით შეძლებს ამ ბოროტების დამარცხებას. დარწმუნებულნი ვართ, რომ თავისუფლების იდეა, რომელიც ბასტილიის აღების დღეს უკავშირდება, და რის გამოც გუშინ სასტიკად გაუსწორდნენ თავისუფალ

მოქალაქეებს, უკვდავია და ის აუცილებლად გაიმარჯვებს“ - ნათქვამია საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებაში.

# თარხან ბათირაშვილის გარდაცვალებას ადასტურებენ

***პანკისის ხეობაში ადასტურებენ სააგენტოების „როიტერის“ და „ფრანს პრესის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერის, წარმოშობით პანკისელი თარხან ბათირაშვილის, იგივე აბუ ომარ ალ შიშანის გარდაცვალების შესახებ. როგორც პანკისის სათემო რადიოს ბათირაშვილის ახლო ნათესავებმა განუცხადეს, სირიიდან მათ ჯერ არავინ დაკავშირებია, თუმცა აქვთ სარწმუნო ინფორმაცია, რომ თარხან ბათირაშვილი ერაყში ბრძოლის დროს მოკლეს. ე.წ. “ისლამური სახელმწიფოს” ერთ-ერთი ლიდერის თარხან ბათირაშვილის გარდაცვალება პანკისის ხეობაში მცხოვრებმა მისი ოჯახის წევრებმა 15 ივლისს დაადასტურეს. თარხან ბათირაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ნათესავები 15 ივლისის დილიდან, სამძიმარს სოფელ ბირკიანში, ბათირაშვილის უფროსი ძმის თენგიზ ბათირაშვილის სახლში იღებენ. ბათირაშვილის ოჯახის წევრებს “ჟღალი გენერლის” გარდაცვალების შესახებ გვიან ღამით, სირიიდან “ისლამური სახელმწიფოს” ერთ-ერთმა გავლენიანმა პირმა შეატყობინა, რომელიც წარმოშობით ასევე პანკისელია.***

ბირკიანში თარხან ბათირაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამძიმრის სათქმელად მისული პანკისელები ამბობენ, რომ თარხან ბათირაშვილის სირიაში წასვლას ხელი ყოფილმა ხელისუფლებამ შეუწყო.

როგორც პანკისის სათემო რადიოს თარხან ბათირაშვილის ბიძამ, ჟორჟიკა ბათირაშვილმა განუცხადა, თარხანი 2010 წლამდე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა. 2008 წელს რუსეთ - საქართველოს ომშიც იბრძოდა, 2010 წელს ის სამხედრო სამსახურიდან იმის გამო დაითხოვეს, რომ ტუბერკულოზი დაუდგინდა.

“საჩვენებელი ჯარისკაცი იყო, მაგრამ გაწირეს. ჯარში სამსახურის გაგრძელება უნდოდა გამოჯანმრთელების შემდეგაც, აღარ მიიღეს. ბაჩო ახალიასთანაც კი მივიდა, იმასაც კი სთხოვა და უარი უთხრეს. იმავე წელს იარაღი ჩაუდეს და დააკავეს. 3 წელი მიუსაჯეს. ციხიდან რომ გამოვიდა, საქართველოდან წავიდა”, - აღნიშნა გარდაცვლილი თარხან ბათირაშვილის ბიძამ.

“თარხან ბათირაშვილი არის გმირი, 2008 წელს საქართველოს მთლიანობისთვის იბრძოდა. მერე უდანაშაულოდ ჩასვეს ციხეში, გული აუცრუვდა, ციხიდან რომ გამოვიდა წავიდა აქედან. ის გმირია ჩვენთვის”, - აღნიშნა პანკისის ხეობის ყოფილმა ემირმა ალი ქავთარაშვილმა.

“გავიგეთ რომ დაიღუპა და სამძიმრის სათქმელად მოვედი. ძმას, მამას და ახლობლებს მივუსამძიმრე. თარხანს საქართველოსთვის ცუდი არასდროს გაუკეთებია”, - აღნიშნა ბირკიანის მკვიდრმა ჯუმბერ ღანიშაშვილმა.

30 წლის თარხან ბათირაშვილი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს მსოფლიოს 4 ყველაზე ძვირადღირებულ ტერორისტთა სიაში ჰყავდა შეყვანილი. მას ორი ცოლი და ორი შვილი დარჩა. მისი ერთ-ერთი ცოლი და შვილი სირიაში არიან.

სირიაში იმყოფება თარხან ბათირაშვილის უფროსი ძმა თამაზ ბათირაშვილიც, იგივე აბდურაჰმანი, რომელიც ასევე ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი მეთაურია და უშიშროების საკითხებს კურირებს.

სააგენტო „როიტერის“ ინფორმაციით, ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ ადასტურებს, რომ თარხან ბათირაშვილი ერაყში, ქალაქ შირქატში ბრძოლის დროს იქნა მოკლული.

„როიტერის“ ცნობით, ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ ტერორისტული ორგანიზაციის მხარდამჭერმა საიტმა „ამაქმა“ ოთხშაბათს გაავრცელა.

„შეიხი ომარ ალ შიშანი ქალაქ შირქათში აღესრულა, სადაც ბრძოლაში მონაწილეობდა ქალაქ მოსულის წინააღმდეგ მტრის იერიშის მოსაგერიებლად“, — წერს „ამაქი“.

ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერები სოციალურ ქსელში ალ—შიშანის ფოტოებს ავრცელებენ და მწუხარებას გამოთქვამენ მისი დაღუპვის გამო.

ამერიკულმა ტელეკომპანია CNN-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ აშშ ცდილობს დაადასტუროს, რომ ბათირაშვილი, რომელსაც პენტაგონმა ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს „ომის მინისტრი“ უწოდა, მოკლულია. CNN—ის ცნობით, აშშ-ის სამხედრო თვითმფრინავები ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მთავარი მებრძოლის წინააღმდეგ იერიშებს ბოლო დღეების განმავლობაში ახორციელებდნენ.

მარტში პენტაგონმა განაცხადა, რომ შიშანი აშშ-ის ავიაიერიშების დროს სირიაში იქნა მოკლული, მაგრამ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ შიშანის სიკვდილს ეხმაურება და ადასტურებს.

„როიტერის“ ინფორმაციით, ამჟამად, ერაყის არმია ქალაქ მოსულის ასაღებად იბრძვის. მოსული ქვეყნის ყველაზე დიდი ქალაქია, რომელსაც ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ აკონტროლებს. არმიამ თითქმის დაასრულა ქალაქ შირქატის ალყაში მოქცევა. შირქატი ბაღდადის ჩრდილოეთით, დედაქალაქიდან 250 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს.

პანკისის სათემო რადიო ჩAჲ-ის ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ გარდაცვლილი 26 წლის ბექხან ტოხოსაშვილი თარხან ბათირაშვილის პირადი დაცვის წევრი იყო.

სირიაში იმყოფება თარხან ბათირაშვილის უფროსი ძმა თამაზ ბათირაშვილი, იგივე აბდურაჰმანი, რომელიც ასევე ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი მეთაურია და უშიშროების საკითხებს კურირებს.

30 წლის თარხან ბათირაშვილი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს მსოფლიოს 4 ყველაზე ძვირადღირებულ ტერორისტთა სიაში ჰყავს შეყვანილი.

თარხან თეიმურაზის ძე ბათირაშვილი დაბადებულია 1986 წლის 11 იანვარს, ახმეტის რაიონში, საქართველოში. 2010 წლამდე თარხან ბათირაშვილი პანკისის ხეობის სოფელ ბირკიანში ცხოვრობდა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა. 2008 წელს, ბათირაშვილი ფრონტის ხაზზე იყო, რუსეთის ტანკებს თვალყურს ადევნებდა და მათ კოორდინატებს ქართულ საარტილერიო ნაწილებს გადაცემდა. 2010 წელს ტუბერკულოზი დაუდგინეს და სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს. იმავე წელს თარხან ბათირაშვილი იარაღის უკანონოდ შენახვის ბრალდებით დააკავეს და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ბათირაშვილი პატიმრობიდან 2012 წლის იანვარში ამნისტიის შედეგად გათავისუფლდა. სასჯელის მოხდამდე მას რამდენიმე თვე ჰქონდა დარჩენილი. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ საქართველო დატოვა. იგი 2013 წლის ზაფხულში გამოჩნდა ჩრდილოეთ სირიაში და სათავეში ედგა ტერორისტულ დაჯგუფება ისლამურ სახელმწიფოს.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, თარხან ბათირაშვილთან ერთად კიდევ ერთი პანკისელია გარდაცვლილი, რომელიც მისი პირადი დაცვის წევრი იყო.

პანკისიდან სირიაში რამდენიმე ათეული პირი იბრძვის, მათ შორის საბრძოლო მოქმედებებში უკვე 20 პანკისელი დაიღუპა: 30 წლის თარხან ბათირაშვილი, 34 წლის რუსლან ქავთაროვი; 26 წლის ბექხან ტოხოსაშვილი; 39 წლის ომარ მარგოშვილი; 22 წლის ასლანბეგ ბორჩაშვილი; 39 წლის ვახა ბუგიევი; 24 წლის რამზან ფარეულიძე; 22 წლის მუხმად თურქოშვილი; 23 წლის თურფალ ბორჩაშვილი; 33 წლის იბრაჰიმ ცათიაშვილი; 24 წლის დავით სვიაკაური; 18 წლის ისრაფილ ცათიაშვილი; 21 წლის ჯაბრაილ ცათიაშვილი; 22 წლის გურამ გუმაშვილი; 18 წლის ბესო კუშტანაშვილი; 36 წლის რუსლან მაჩალიკაშვილი; 24 წლის ხალიდ აჭიშვილი; 26 წლის ჰამზათ აჭიშვილი; 40 წლის აბდულ-მალიქ მუთოშვილი; 23 წლის რუსტამ გელაევი.

## გახსენება

# ზაქრო ტოკლიკიშვილი



მამა! ოცდაათი ტკივილიანი წელი გავიდა, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ. 18 ივლისი შენი სამუდამო სასუფეველში დამკვიდრების დღეა. ოცდაათჯერ მოვიდა გაზაფხული უშენოდ. ოცდაათჯერ მორთეს იებმა და ლილიებმა შენი სამუდამო განსასვენებელი... ოცდაათჯერ დაათოვა. უსასრულო მოლოდინად გადაიქეცი... გვენატრები, უსაშველოდ გვენატრები. ეს გაუსაძლისი დღეები დედაბურჯად დარჩენილმა დედამ, შენმა მეუღლემ გადაგვატანინა, რომელიც არ იშურებდა სითბოსა და ენერგიას, რომ უშენობა არ გვეგრძნო. ყველაზე დიდი ნუგეში მაინც შენი კაცურ-კაცობით ნაცხოვრები ლამაზი სიცოცხლეა, ომის ქარცეცხლში ვაჟკაცურად გავლილი გზებია.

სიცოცხლე გრძელდება, რამდენი ახალი ახალი წევრი, რამდენი ახალი სიცოცხლე შემოემატა შენს დიდ ოჯახს.

ნუ გეშინია, მამა, სიკვდილი მხოლოდ დავიწყებას მოაქვს, რაც შენი ხვედრი არ არის. გემშვიდობებით შენი მეგობრის მიერ მოძღვნილი ლექსით.

„რა არის სიცოცხლე, ხანმოკლე, ჰატარა,
შრომაში, ბრძოლაში გაგტანჯა, გაწამა,
ომის ბილიკებმა სადღა არ გატარა,
და ბოლოს რა მცირე სამარე გაკმარა.
სადამდეც ვიცოცხლებთ არ დაგვავიწყდები,
და ჩვენც რომ წამოვალთ, სულ ერთად ვიქნებით“.

**მეუღლე** - თამარ უზუნაშვილი;
**შვილები:** ეთერი, ქეთინო, გია ტოკლიკიშვილები.

# ცირკი „შაპიტო ანტრე“ დედოფლისწყაროში

**გასულ კვირას დედოფლისწყაროს მოძრავი ცირკი „შაპიტო-ანტრე“ ეწვია, რომელმაც რამდენიმე დღის განმავლობაში საოცარი საცირკო წარმოდგენა შესთავაზა მაყურებელს. ღია ცის ქვეშ, დედოფლისწყაროს სტადიონზე დამონტაჟებულ მანეჟზე დიდი მოთხოვნის გამო წარმოდგენები დღეში ორჯერ იმართებოდა. მსახიობი და ილუზიონისტი რამაზ გარშაულიშვილი საზოგადოებას პოპულარული სატელევიზიო შოუ „ნიჭიერიდანაც“ ახსოვს, სადაც ის ნახევარფინალში გავიდა.**

რამაზ გარშაულიშვილი ***(ცირკის ხელმძღვანელი):*** „პირველ რიგში გეტყვით, რომ ჩვენ მომთაბარე ცხოვრებას ვეწევით და ყველა რეგიონში დავდივართ. ჩვენი მიზანიც ესაა, რომ შემოვიაროთ რეგიონები და ბავშვები გავახაროთ. დედოფლისწყაროსთანაც განსაკუთრებული მეგობრობა გვაკავშირებს. აქ მესამედ ვართ. წლების წინაც ვატარებდით წარმოდგენებს. ადგილობრივი ხელისუფლება ყოველთვის ხელს გვიწყობდა, რომ შოუ ჩაგვეტარებინა. ადგილობრივი მოსახლეობაც უკვე გვიცნობს, პატივს გვცემს და თამამად შეიძლება ვთქვა, რომ მაყურებელი არ გვაკლია. თქვენ წარმოიდგინეთ, მაყურებლების ნაწილი განმეორებითაც ესწრებოდა ჩვენს შოუს და ეს მახარებს, დანარჩენებს კი ახლობლები მოჰყავდათ. საბოლოო ჯამში წელსაც კარგი გამოხმაურება გვქონდა, ბევრი ხალხი მოვიდა და კარგად მიგვიღეს. ასე რომ ბავშვები აღფრთოვანებული დარჩნენ და ჩვენს კმაყოფილები მივდივართ აქედან. რაც შეეხება პროგრამას, საკმაოდ მრავალფეროვანი ნომრები წარმოვადგინეთ.

ილუზიონისტი გვყავს, ბაგირზე მოსიარულე კაცი, აკრობატი, ჟონგლიორი სხვადასხვა ჟანრის მიხედვით, ასევე „ადამიანი ოთხი ხელით“. ეს არის მსახიობი ვაჟა ნატროშვილი, რომელიც, სხვათაშორის დედოფლისწყაროდანაა და საკმაოდ გამოცდილი და დამსახურებული მსახიობია. ის ყველა იმ საქმეს, რასაც ჩვენ ხელით ვაკეთებთ, აბსოლუტურად ყველაფერს ფეხების დახმარებით ახერხებს და საკმაოდ საინტერესო შოუს დგამს. უკვე ნახეთ რომ, მან ასევე ფეხის თითებით დახატა ერთერთი მაყურებელი და საკმაოდ დიდი მსგავსება იყო იმ ადამიანთან და ეს თავად მაყურებელმაც აღიარა. მას ფეხით დახატული თავისივე პორტრეტი საჩუქრად გადავეცით. წინა წლებთან შედარებით, ცხადია, ჩვენი პროგრამა უფრო განახლებულია, მსახიობებიც შეცვლილია. პერიოდულად ვფილტრავთ და ვაუმჯობესებთ თითოეულ ნომერს. ალბათ ამიტომაცაა, რომ მაყურებელი არ გვაკლია, მუდმივად დიდი სიამოვნებით მოდიან და აპლოდისმენტებსაც არ იშურებენ.“

ვაჟა ნატროშვილი: „1957 წლიდან ცირკის ხელოვნებას ვემსახურები. რეგიონებში სიარული ფინანსურად არ ამართლებს, მაგრამ ხალხთან მუშაობა და ბავშვების სიყვარული ყველაფერს წონის. მოგეხსენებათ, მსახიობისთვის ტაში ყველაზე მნიშვნელოვანია და ანაზღაურებას არ ვანიჭებთ უპირატესობას. მე დაბადებული ვარ სოფელ ზემო მაჩხაანში, მაგრამ მშობლებმა პატარაობისას, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის ასაკში თბილისში გადამიყვანეს და მას შემდეგ იქ აღარ ვყოფილვარ. ვიცი, რომ აქ ახლოსაა, მაგრამ საით მდებარეობს ისიც არ მახსოვს. ნათესავები გვყავს, მაგრამ, სამწუხაროდ, კონტაქტი არ მაქვს. საქართველოს დამსახურებული მსახიობი ვარ. 1958 წელს მოსკოვში საქართველოს დეკადა ჩატარდა, სადაც უმაღლესი პრეზიდიუმის ორდენით დამაჯილდოვეს, მას შემდეგ არ მილალატია და მთელი ცხოვრება ცირკში გავლიე. დღეს პირველად მომეცა დედოფლისწყაროში ჩამოსვლის შესაძლებლობა და ძალიან ბედნიერი ვიყავი. სულ სხვა განცდაა, როცა მშობლიურ მხარეში მიდიხარ და







კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, როცა აქ თამაშობ. სიამოვნებით ვითამაშე და ვფიქრობ, რომ მაყურებელსაც ძალიან მოეწონა.“

– „ამგვარი წარმოდგენები ძალიან ხშირად უნდა ტარდებოდეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ცირკი ადგილზე გვესტუმრა. რადგან ზოგი დასაქმებულია და ამის გამო ვერ ახერხებს დედაქალაქში წასვლას და ბავშვების წაყვანას, ზოგიც დიდ ფინანსურ ხარჯებს ერიდება და როდესაც ადგილზე იმართება, ასეთ დროს ყველა მოახერხებს, შეღავათიან ფასად ბავშვებს ბედნიერება მიანიჭოს. ბავშვები კი არა, იმდენად კარგი შოუ იყო, სიმართლე გითხრათ დიდებმაც ძალიან ვიხალისეთ და კარგად გავერთეთ“. – აღნიშნავდნენ კმაყოფილი მაყურებლები.

ილია მარტყოფლიშვილი

## სპორტი ფეხბურთი

ჩატარდა აფხაზეთის პირველობა ფეხბურთში, რომელიც ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძის სახელობის გახლდათ. ტურნირში მონაწილეობდნენ 2002 წელს დაბადებული ნორჩი ფეხბურთელები. შეჯიბრებაში საკმაოდ ძლიერი გუნდები მონაწილეობდნენ. დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა უკან ჩამოიტოვეს ისეთი საფეხბურთო ნაკრებები, როგორიცაა გორის „დილა“ და სხვა ძლიერი გუნდები. საბოლოოდ ისინი მე-7 ადგილს დასჯერდნენ, რაც იმან განაპირობა, რომ გუნდის ორმა მოთამაშემ-მეკარე თეზელაშვილმა და ხეტეშვილმა რამდენიმე თამაში გამოტოვეს, თორემ გაცილებით კარგ შედეგს დადებდა დედოფლისწყაროს გუნდი. გუნდის მწვრთნელია კაკო მაჩაბლიშვილი.



## 19 ივლისს დანიშნულ საჯარო აუქციონში მონაწილეთა საყურადღებოდ!

გაზეთ ,,შირაქის“ (№23) 20-25 ივნისის ნომერში, მე-8 გვერდზე, საჯარო აუქციონის გამოცხადებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ განცხადებაში, დაშვებულ იქნა შეცდომა, კერძოდ: ლოტი N1 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მითითებული საკადასტრო კოდის 52.31.31.001 ნაცვლად, უნდა იყოს საკადასტრო კოდი 52.32.31.001. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ ლოტზე შეწყდა აუქციონი.

სოლომონ ღორაშვილი,
**აუქციონის მომწყობი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე**


## ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება ფუტკრის 27 ოჯახი სკებით და მისაბმელი „ლაფეტით”. საწყისი ღირებულება 8000 დოლარი. მსურველები დაგვიკავშირდით:



☎ 577 985144, 577 985142

სასწრაფოდ იყიდება 1200 კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მეგობრობის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. მსურველები დაუკავშირდით:

☎ 577 41 72 25, მირიანი

## ქირავდება!

ქირავდება 2,5 ოთახიანი. ბინა თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან ახლოს. ბინა აღჭურვილია საყოფაცხოვრებო ტექნიკით და ავეჯით. ფასი 300$. მსურველები დაგვიკავშირდით:

☎ 577 98 24 60

## ყურადღება!

მაღაზიაში გვესაჭიროება გამყიდველი. მაღაზია მდებარეობს სოფელ სამრეკლოში. დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

☎ 555 20 55 54 იკითხეთ ხატია.


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 18.07 | | სამშაბათი 19.07 | | ოთხშაბათი 20.07 | | ხუთშაბათი 21.07 | | პარასკევი 22.07 | | შაბათი 23.07 | | კვირა 24.07 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 23 ° | 16 ° | 27 ° | 18 ° | 28 ° | 19 ° | 24 ° | 21 ° | 24 ° | 20 ° | 21 ° | 19 ° | 19 ° | 18 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.